# გამოიწერეთ


# ახალგაზრდა ივერიელი

[illegible] 1921 წლიდან

ხუთშაბათი 22 ნოემბერი № 129 (11615) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 3 კაპ.



ეროვნული ბიბლიოთეკა


# დღეს გაიმართება საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა

## მილოცვები

პატივცემულო რედაქტორო! თქვენი გაზეთის საშუალებით გვინდა მივულოცოთ ბატონ ზვიად გამსახურდიას და საარჩევნო ბლოკს — „მრგვალი მაგიდა. თავისუფალი საქართველო" — გამარჯვება!

დაე, მუდამ საქართველოს საკეთილდღეოდ ემოქმედოს ახალი პარლამენტის კანონებს. აგრეთვე საქართველოში მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას მოვუწოდებთ, მხარი დავუჭიროთ ახალ პარლამენტს.

ყოველმა ჩვენგანმა უნდა გადასდოს თავისი თავი, და დადგეს იქ, სადაც ქართველ ერს სჭირდება, პიროვნულად შეეწიროს ერს, შეეწიროს მის თავისუფლებას.

საქართველო ღვთაებრივი ქვეყანაა, ქართველი ხალხი ღვთისაგან კურთხეულია:

ყოველი ჩვენგანის სიტყვას თან უნდა ერთვოდეს მტკიცე საქმე; დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ ქართველი ხალხის შინაურ თუ გარეულ მტრებს.

ვიცოდეთ, რომ საქართველო ჩვენი სამშობლოცაა, საქართველოში დაბადებული და გაზრდილი ყოველი არაქართველი თავისუფალი საქართველოს დამცველი მეომარია.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ, დემოკრატიულ და თავისუფალ საქართველოს.

1. ქ. თბილისიდან. ზემოველის ქ. № 63/7-ში მცხოვრები **ადილფაშა როსტომოღლი**, საქ. რადიოკომიტეტის თანამშრომელი — **ალიხან აბასოვი**, დაბა ქართლიდან, ლენინგრადის ჩიხის მცხოვრებლები: **იბრაგიმ აბაზოვი, შახი ნაბიოღლი, ზურაბ სარიოღლი, ბადური აბაზოღლი, ჯახანგირ ახმედოვი, მუთალლიმ ალახიაროვი, თამაზი აბაზოვი, ბაგირ ნალიოღლი, იაშარ ალიევი.**

**სულ 62 კაცი.**

●

**საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას**

სულით და გულით გილოცავთ გამარჯვებას.

**ოთარ კოკოზოვი,**
**კომუნისტური რეჟიმის მსხვერპლი.**

წალკა.

●

**საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს**

მივესალმები თქვენს გადაწყვეტილებას, იბრძოლოთ დამოუკიდებლობისათვის.

**ანტანას ბარტკუსი,**
ყოფილი პოლიტპატიმარი.
ლიტვის რესპუბლიკა

●

მთელ ქართველ ერს გილოცავთ საქართველოში ნამდვილი სახალხო პარლამენტის შექმნას და საქართველოს თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლის ბატონ **ზვიად გამსახურდიას** უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევას.

**ნათია და ემზარ ბულუები,**
**პეტროზავოდსკი**

●

გთხოვთ, თქვენი გაზეთის მეშვეობით ქართველ ხალხს მიულოცოთ დემოკრატიული ხელისუფლების არჩევა.

შ/ს სამინისტროს ლენინგრადის უმაღლესი კურსების მსმენელები:

**მილიციის უფროსი ლეიტენანტები: ბოგლიძე, შენგელია; ლეიტენანტები: ხოსიაშვილი, ცხვარიაშვილი, ზედგენიძე.**

## პროცესია გრძელდება

საზოგადოებამ უკვე იცის, რომ საქართველოს უკანასკნელი მეფის სოლომონ მეორის ნეშტი, მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის ინიციატივით საქართველოში ჩამოასვენეს.

20 ნოემბერს, მეფის ნეშტი სიონის ტაძრიდან სვეტიცხოველში გადაასვენეს. საღამოს ჟამს, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II პარაკლისი გადაიხადა.

გუშინ, 21 ნოემბერს, სოლომონ მეორის ნეშტს შეეგება გორის საზოგადოებრიობა.

დღეს, დილის 10 საათზე, გორის ეკლესიიდან პროცესია გეზს ქუთაისისაკენ აიღებს და სოლომონ მეორის ნეშტს ერთი დღე-ღამე ოქროს ჩარდახში დაასვენებენ...

23 ნოემბერს, გიორგობის დღეს, მეფის ნეშტს გელათის ტაძრის კედლებში გადაასვენებენ. პარაკლისს გადაიხდის უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

შაბათს, 24 ნოემბერს, სოლომონ მეორის ნეშტს გელათში დაკრძალავენ.

ეს ჩვენი ისტორიაა



## ორბელის ციხე

იგი ლეჩხუმის უძლიერესი ციხეა, მდინარე ლაჯანურის ხეობაში. ციხე დაშენებულია მაღალ კლდეზე. გალავანი ყორე ქვითაა ნაგები. ციხის ტერიტორიაზე არის ეკლესიის ნანგრევები და წყლის აუზი. იგი მე-19 საუკუნეშიც მოქმედი იყო. ციხე გვიან შუა საუკუნეებს განეკუთვნება. იგი მხატვრულადაა გადაწყვეტილი. მეციხოვნეებს აქ ხანგრძლივად უხდებოდათ ყოფნა.

**თამაზ ქიქავას ფოტოები**



ეს ჩვენი ისტორიაა

# საერთო ძალისხმევით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ!

„ქართველი ერის ცხოვრება და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ისტორიულ-პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვან, კრიტიკულ და საპასუხისმგებლო ფაზაში შევიდა. უკანასკნელ ხანებში ჩატარებულ ორ პარალელურ საყოველთაო დემოკრატიულ მრავალპარტიულ არჩევნებში კიდევ ერთხელ ხმამაღლა იქნა გაცხადებული და სამართლებრივად დადასტურებული ქართველი ერის უზენაესი ნება და მისწრაფება — აღდგეს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა! დამოუკიდებლობისაკენ, თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობისაკენ მისწრაფება უკვე იქცა ისეთ ისტორიულ და სასიცოცხლო აუცილებლობად, რომელიც ნებისმიერი ძალისხმევის ტოლფასად ან უნდა ბოლომდე მიიყვანოს და განახორციელოს ქართველმა ერმა, ან ამ ისტორიული მისიის ვერ განხორციელების შემთხვევაში მსოფლიო განვითარების წინაშე ხელი უნდა მოაწეროს უსიტყვო კაპიტულაციას და წავიდეს ერთხელ და სამუდამოდ საკაცობრიო სარბიელიდან. ჩვენ უნდა ვიყოთ თავისუფალი, დამოუკიდებელი, ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებული ერი, ან საერთოდ არ უნდა ვიყოთ! ამისათვის გვმართებს სიტყვითა და საქმით განვახორციელოთ და რეალურ სინამდვილედ ვაქციოთ ჯანსაღ, ზნეობრივ, პოლიტიკურ, სარწმუნოებრივ და მსოფლმხედველობრივ საწყისებზე დაფუძნებული ეროვნული კონსოლიდაცია, და ვინაიდან საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების შედეგად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი და მთავარი მამოძრავებელი ძალები განაწილდა ორ პარალელურ სტრუქტურაში ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს სახით, მიგვაჩნია, რომ საერთო მტრის — საბჭოთა რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის წინააღმდეგ ერთიანი ძლიერი ფრონტის შექმნა ერთობლივი ძალებით უნდა უზრუნველყონ სწორედ საქართველოს ეროვნულმა კონგრესმა და საქართველოს უზენაესმა საბჭომ. ამისათვის საჭიროდ და აუცილებლად ვთვლით უახლოესი მომავლისათვის ოფიციალურ დონეზე შედგეს შეხვედრა ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს წარმომადგენლებს შორის, რათა დაიწყოს კონსტრუქციული დიალოგი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და შენებლობის საკითხთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემების გარშემო.

ყველასთვის ცხადია, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შიგნით არსებულ იმ ორ ძირითად პოლიტიკურ მიმდინარეობას შორის, რომლებიც ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს არჩევნების იდეას უკავშირდებოდნენ, მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით არსებობდა და დღესაც არსებობს პრინციპული დაპირისპირება, მაგრამ ეს ფაქტი არც ერთ შემთხვევაში მიჩნეულ არ უნდა იქნას გადაულახავ დაბრკოლებად საერთო მიზნისათვის დაწყებული ბრძოლის გზაზე ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს დაახლოებისათვის. უნდა ვეცადოთ შემუშავებულ იქნას ერთიანი სტრატეგია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლისა. ვფიქრობთ, მთავარ საკითხთან მიუკერძოებელი და კონსტრუქციული მიდგომის შემთხვევაში საერთო მტრის წინააღმდეგ, თუნდაც მრავალმხრივი, მაგრამ ერთიანი სტრატეგიის შემუშავება შესაძლებელია.

ყველაფერი უნდა დაიწყოს იქიდან, რომ უახლოეს წარსულში არსებული შუღლი, განხეთქილება და ანტაგონიზმი დავიწყებას მიეცეს. ამ მხრივ მისასალმებელია საქართველოს უზენაესი საბჭოს მხრიდან წამოსული ინიციატივა ურთიერთშეწყნარებლობისა და მიმტევებლობის, ურთიერთთანადგომისა და პატივისცემის, ეროვნული თანხმობისა და ერთიანობის შესახებ. მაგრამ ეს ყველაფერი სიტყვებად რომ არ დარჩეს და საქმედ იქცეს, ამისათვის აუცილებელია პოლიტიკური და იურიდიული გარანტიების შექმნა საზოგადოებრივი ცხოვრების რეალურ სტრუქტურებში. ვინაიდან ქართველი ერის შეგნებული უმრავლესობა მიზანდასახულად იბრძვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, ვინაიდან ამ საერთო ეროვნული მიზნიდან გამომდინარე საქართველოში ოფიციალურად არის გამოცხადებული გარდამავალი პერიოდი, ვინაიდან საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლა არც ერთ შემთხვევაში არ შედის ცალკე მარტო ეროვნული კონგრესის ან მარტო უზენაესი საბჭოს პრეროგატივაში, ეროვნული თანხმობისა და ერთიანობის დასამკვიდრებელ იურიდიულ და პოლიტიკურ გარანტიებად მიგვაჩნია: ა) ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს ერთობლივი ძალისხმევით საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობის განხორციელების ინსტიტუტის შექმნა;

ბ) საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განსაზღვრისათვის საერთო პირობების შემუშავება.

გ) საერთო მოდელის შექმნა მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი წყობილების, აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო, პოლიტიკური, ეკონომიკური, თავდაცვითი, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის სტრუქტურებისა და საშინაო და საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის შესახებ;

დ) გარდამავალ პერიოდში ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს მიერ პარიტეტულ საწყისებზე ერთობლივი კომისიების შექმნა გარდამავალი პერიოდის თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის სტრუქტურების შექმნისა და ფუნქციონირებისთვის.

საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი მძლავრი ფრონტის შექმნისათვის აუცილებელ პირობად მიგვაჩნია:

ა) უზენაესი საბჭოს მიერ სპეციალური დადგენილების გამოცემა, რომლის თანახმადაც საქართველოს განესაზღვრება ოკუპირებული, ანექსირებული, პერმანენტული აგრესიის ქვეშ მყოფი დაპყრობილი ქვეყნის სტატუსი;

ბ) უზენაესი საბჭოს მიერ დეკლარაციის მიღება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების უკანონოდ ცნობისა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სსრკ-ს და ე. წ. საქართველოს სსრ კონსტიტუციების მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

გ) უზენაესი საბჭოს მიერ მეტროპოლიისა და საერთაშორისო სამართლებრივი ინსტანციების წინაშე საქართველოს დეოკუპაციისა და სსრკ-ის სახელმწიფო საზღვრებიდან საქართველოს ფაქტობრივი გამოყვანის შესახებ საკითხის დაუყოვნებელი დასმა.

დღევანდელ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში საქართველოს განთავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა უდიდეს პრობლემებთან არის დაკავშირებული. ამიტომაც მიგვაჩნია აუცილებელ პირობად ზემოთქმულ საკითხებთან დაკავშირებით უახლოესი მომავლისათვის ოფიციალური დონის შეხვედრის გამართვა საქართველოს ეროვნული კონგრესისა და საქართველოს უზენაესი საბჭოს წარმომადგენელთა შორის. იმედს გამოვთქვამთ, კონგრესმენები და დეპუტატები გაუგებენ ერთმანეთს!

ღმერთი ფარავდეს საქართველოს და მის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას!

**ირაკლი წერეთელი**

**18 ნოემბერი, 1990 წელი**
**ქრისტეშობისთვე**

---

**საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის**

## განცხადება

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი ბატონი ვახტანგ ასათიანი საქართველოს ეროვნულ კონგრესში არჩეული იქნა გამარჯვებული ბლოკის „ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია — ეროვნული კავშირის“ რანგირებული სიით.

მან მიზანშეწონილად ჩათვალა თავისი ადგილი დაეთმო ამავე ბლოკის სიაში მყოფ ბატონ ვახტანგ გოგუაძის სასარგებლოდ, რის გამოც პარტიამ განცხადების საფუძველზე მოიხსნა ეროვნული კონგრესის წევრობის უფლებამოსილება და იგი გადაეცა ბატონ ვახტანგ გოგუაძეს.

**ირაკლი წერეთელი**

**18 ნოემბერი, 1990 წელი. ქრისტეშობისთვე.**

---

## ღია წერილი

### საქართველოს ტელევიზიის ხელმძღვანელობას

**საქართველოს** ეროვნული კონგრესი, როგორც ქართველი ერის უზენაესი ნების გამომხატველი ერთადერთი ორგანო, საჭიროებს უწყვეტ კონტაქტს თავის მშობელ ერთან, საქართველოს მოსახლეობასთან. ჩვენმა ხალხმა უნდა იცოდეს, თუ რა საქმიანობას ეწევა ეროვნული კონგრესი ქართველი ერის საკეთილდღეოდ, რეალური დამოუკიდებლობის აღსადგენად, დემოკრატიული იდეალების ჩვენს ქვეყანაში დასამკვიდრებლად.

სამწუხაროდ, უზენაესი საბჭოსაგან განსხვავებით ეროვნული კონგრესის საქმიანობა საქართველოს ტელევიზიით თითქმის არ შუქდება. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ეროვნული კონგრესის სესიების პირდაპირი ეთერით გადაცემა, მიუხედავად კომუნისტების მარცხისა უზენაესი საბჭოს არჩევნებში, კვლავ ხორცშეუსხმელ ოცნებად რჩება.

ეროვნული კონგრესი მიმართავს წინადადებით საქართველოს ტელევიზიის ხელმძღვანელობას, რომ ყოველდღიურად, საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ შემდეგ, ეროვნულ კონგრესს განცხადებებისა და ინფორმაციისთვის გამოეყოს 10-15 წუთი ყოველგვარი ცენზურის გარეშე.

საქმით და არა მხოლოდ სიტყვით, უნდა დადასტურდეს ახალი ხელისუფლების ერთგულება დემოკრატიის იდეალებისადმი.

**საქართველოს ეროვნული კონგრესი**

**20 ნოემბერი, 1990 წ.**
**„ახალგაზრდა ივერიელს“**

---

**ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის გამგეობის განცხადება**

1990 წლის 24 ნოემბერს 12 საათზე, თბილისის საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციის შენობის სააქტო დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) მუშაობას დაიწყებს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის კონფერენცია. პარტიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

---

## განცხადება

23 ნოემბერს, პარასკევს, 18 საათსა და 30 წუთზე ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კულტურისა და ტექნიკის სასახლეში ამომრჩევლებს შეხვედრაზე იწვევს ნაძალადევის № 1 საარჩევნო ოლქის დეპუტატი **გურამ პეტრიაშვილი**.

მისამართი: ოქტომბრის ქ. № 26 (კინოთეატრ „განთიადის“ გვერდით).

ტელეფონი: **95-09-14.**

---

## გელით ქაშუეთთან

**ჰუმანიტარული** ასოციაცია „ქათარზისის“ სათნოების ორდენის წევრები შაბათს, 11 საათისათვის ტრადიციულად იკრიბებიან ქაშუეთის ტაძრის ეზოში, 13 საათისათვის ორდენის წევრები მიემგზავრებიან ძეგვის ფსიქონევროლოგიური პანსიონატის ბინადართა მოსანახულებლად.

ყველას, ვისაც სურვილი აქვს გაემგზავროს ძეგვის პანსიონატში, ქაშუეთის ტაძრის ეზოსთან დაელოდება ავტობუსები.

**სათნოების ორდენი**

**(ჰუმანიტარული ასოციაცია „ქათარზისი“).**

---

## „დასის“ განცხადება

კვირას, 25 ნოემბერს, 12.00 სთ-ზე „დას“-ის ოფისში (გრიბოედოვის 19) შედგება ორგანიზაცია „დას“-ის (დემოკრატიული არჩევანი საქართველოსთვის) III ყრილობა. „დას“-ის რეგიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, წევრებს, ორგანიზაციის მიერ დასახელებულ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის უპარტიო კანდიდატებს ვთხოვთ დაგვიკავშირდნენ „დას“-ის ოფისში პარასკევს, 11.00-დან 19.00 სთ-მდე (ტელ. 98-31-74, 98-67-58, 98-67-52).

**„დას“-ის პოლიტიკური საბჭო**

---

## გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქციას, საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს ბატონ ნოდარ ნათაძეს

როგორც მოგეხსენებათ, გაზეთ „საბჭოთა ოსეთს“ რედაქციის კოლექტივის გადაწყვეტილებით შეეცვალა სახელი და ეწოდა „ჩვენი სამკვიდრო“, ამავე დროს იგი გამოვიდა საოლქო საბჭოს აღმასკომისა და საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტის დაქვემდებარებიდანაც. საოლქო საბჭოს აღმასკომი და საქართველოს კპ საოლქო კომიტეტი, რომლებიც აფინანსებენ გაზეთს და ჯერჯერობით ოფიციალურად ითვლებიან მის დამფუძნებლებად არ დაეთანხმნენ რედაქციის გადაწყვეტილებას. ჩვენ ვთხოვეთ ოლქის ხელმძღვანელობას ეღიარებინა გაზეთის ახალი სტატუსი და ნება დაერთო მის დაბეჭდვაზე, მაგრამ საკითხი არ გადაწყვეტილა. ვითარების გარკვევამდე ცხინვალის სტამბის დირექციამაც უარი განაცხადა გაზეთის დაბეჭდვაზე. ყოველივე ეს ცნობილია რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოებისათვის და იმედი გვაქვს, რომ საკითხი დადებითად გადაწყდება, რაც მოგვცემს გაზეთის შეუფერხებლად დასტამბვის საშუალებას.

პატივისცემით
**რევაზ ლლონტი**
**ბეჭდვსახკომის თავმჯდომარე.**

●

საქართველოს სახმომარაგების კომიტეტმა განიხილა ა/წ 10 ნოემბრის გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნებული წერილი გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ გამოცემის შესახებ და გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს სსრ გამომცემლობების სახელმწიფო კომიტეტი სამხრეთ ოსეთის საგაზეთო-საჟურნალო გამომცემლობას ყოველწლიურად უყოფს 2200,0 ათას კვ. მ. საგაზეთო ქაღალდს, მათ შორის გაზეთ „საბჭოთა ოსეთისათვის“ 480,0 ათ. კვ. მ., რომელსაც სახმომარაგების კომიტეტი ამაგრებს ტრანზიტად სოლიკამსკის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატიდან და უზრუნველყოფს მის დროულ რეალიზაციას. ხოლო შეფერხების შემთხვევაში არეგულირებს მიწოდებას „საქტყექაღალდბითუმვაჭრობის“ ბაზებიდან.

რაც შეეხება აღნიშნული გაზეთის შეუფერხებელ ბეჭდვის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი უწყებების მიერ გაზეთის პოლიგრაფიული ბაზის გადატანის შემთხვევაში, სახმომარაგების კომიტეტი შესაბამისად მიიღებს სასწრაფო ზომებს რათა დროულად გადაამაგროს და უზრუნველყოს საგაზეთო ქაღალდის მიწოდება.

**თავმჯდომარე ვ. ალავიძე**

მშვენიერება გადაარჩენს კაცობრიობას!

# პეგასი

# PEGASUS

6

1990

22 ნოემბერი, 1990

გამოდის 1990 წლიდან

საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის ორგანო

AGENCY OF INTERNATIONAL CULTURAL ASSOCIATION OF GEORGIA

ეროვნული ბიბლიოთეკა



### საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება

## საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ დეპუტატი ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია.

**საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**ზ. გამსახურდია.**

**თბილისი. 1990 წლის 14 ნოემბერი.**

## არჩევნების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ერთხმად აირჩია დეპუტატი **აკაკი ასათიანი,** მოადგილედ დეპუტატი **ნემო ბურჭულაძე.**

უზენაესმა საბჭომ ერთხმად დანიშნა დეპუტატი **თენგიზ სიგუა** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

### საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს

## ბატონ ზვიად გამსახურდიას

საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასი" გულწრფელად გილოცავთ თქვენ და სრულიად საქართველოს ეროვნული ძალების ჭეშმარიტ გამარჯვებას.

გფარავდეთ წმინდა გიორგის ნათელი სახე საქართველოს სრული თავისუფლებისათვის, ერის ზნეობრივი სიწმინდისა და სულიერი ამაღლებისათვის ბრძოლის გზაზე.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

**საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასი".**

## დაბრუნება

175 წლის შემდეგ აღსრულდა საქართველოს უკანასკნელი მეფის სოლომონ მეორის ანდერძი — მისი ნეშტი, რომელიც ათეული წლები განისვენებდა ტრაპიზონში, მშობლიურ მიწას მიებარება. მირონცხებულ გვირგვინოსანს პატივი მიაგო სრულიად საქართველომ. ძველ ციხე-სიმაგრე გონიოში შეეგება ქართველი ხალხი თავის უკანასკნელ მეფეს. გონიოდან დაწყებული, მეფის ნეშტი დასვენებულ იყო თბილისში, სიონის ტაძარში, სვეტიცხოველში, გორში. დღეს გორში გადახდილი წირვის შემდეგ პროცესია ქუთაისისაკენ გაემართება და ამაღამ ვარციხეში დაივანებს. ხვალ მეფის ნეშტს ქუთაისში, ოქროს ჩარდახში დაასვენებენ. შაბათს კი მას მიიბარებს გელათი, ბაგრატიონთა საგვარეულო საძვალე.



# 23 ნოემბერს გიორგობაა

ხვალ, დიდმოწამის, ძლევამოსილისა და საკვირველმოქმედის, წმიდა გიორგის ბორბალზე წამების დღეა.

წმინდა გიორგი მესამე საუკუნის მეორე ნახევარში დაიბადა კაპადოკიაში, მდიდარ, ქრისტიანულ ოჯახში. მაგრამ იგი გაიზარდა პალესტინაში, დედის სამშობლოში. მსახურობდა რომის ლაშქარში, საიდანაც იმპერატორმა დიოკლიტიანემ თავის პირად მცველად აიყვანა და მხედართმთავრის წოდებაც უბოძა. სულ მალე კერპთაყვანისმცემელმა დიოკლიტიანემ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ქრისტიანობას. წმიდა გიორგიმ ეს რომ შეიტყო, ქონება გლახაკთ დაურიგა და სენატში თავი ქრისტიანად აღიარა. დიოკლიტიანემ სცადა მისი გადარწმუნება, მაგრამ ვერაფერს გახდა. წმიდა გიორგი საპყრობილეში ჩააგდეს და მკერდზე დიდი ლოდი დაადეს. ხოლო მეორე დღეს ნაწამები წმიდა გიორგი მბრუნავ ბორბალზე დააკრეს, რომლის ქვეშაც წვერბასრი ძელები დაუდეს. სხეულდასერილი წმიდა გიორგი ბორბლიდან ჩამოხსნეს. მოულოდნელად ჩამობნელდა, ატყდა ჭექა-ქუხილი და მაღლიდან ხმა მოისმა: „ნუ გეშინია, გიორგი, მე შენთან ვარ!" ამის შემდეგ წმიდა გიორგი სრულიად უვნებელი წამოდგა ბორბლიდან და თაყვანისცა ჭეშმარიტ ღმერთს.

ამ სასწაულის შემდეგ მრავალმა მიიღო ქრისტიანობა, თვით დედოფალმაც კი, მაგრამ წმიდა გიორგი მაინც სიკვდილით დასაჯეს. ეს მოხდა 303 წლის 23 აპრილს. დიდი წმინდანის წამებისა და აღსრულების დღეები საქართველოში მასობრივად აღინიშნება, ჩვენთან მრავალი ეკლესიაა წმიდა გიორგის სახელობისა და იგი მიჩნეულია ერთ-ერთ ძლიერ წმიდანად.




## კანონს დაქვემდებარებულის საფუძველზე

### ანუ

## ვინ იღებს ელიტარულ ბინებს

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის თანახმად ჩვენ ყველა თანაბარი უფლებებით ვსარგებლობთ. მაგრამ ცხოვრებაში? დღემდე ჩვენს საზოგადოებაში არსებობს სხვადასხვანაირი უფლება სხვადასხვა რანგის ადამიანებისათვის. ზოგიერთს „ეკუთვნის" მიიღოს საცხოვრებელი ფართი „ზემოდან" დადგენილი ნორმის მიხედვით.

მეორე კატეგორიის ხალხს თუ რა ეკუთვნის — არ საჭიროებს დაზუსტებას — ისინი უმრავლესობას წარმოადგენენ და მათ მშვენივრად იციან თავიანთი უფლებები...

საინტერესო ისაა, რომ განსაკუთრებული კანონები ხორციელდება დამატებით კანონებსა და დადგენილებებზე, რომლებსაც იღებენ და უარყოფენ „ძლიერნი ამა ქვეყნისა" კომფორტისა და მოთხოვნილებისათვის. მათავიწყდებათ, რომ ხალხი მათ იმავე კანონებით გაასამართლებს, რომლებითაც ისინი ცხოვრობენ.

არსებობს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი საიდუმლო დადგენილება, რომლის მიხედვითაც პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა გარკვეულ კატეგორიას პენსიაზე გასვლის შემდეგ აქვთ მოსკოვში ჩაწერისა და საცხოვრებელი ფართის მიღების უფლება. მაგალითად: 1989 წ. 1 იანვრიდან „ელიარულ" სახლებში ბინები მიეცათ შემდეგ პენსიონერებს: ა. დ. ბოგდანოვს, სკკპ მაგადანის საოლქო კომიტეტის ყოფილ პირველ მდივანს ვ. ვ. კაზარეზოვს, სკკპ ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტის ყოფილ პირველ მდივანს, პ. მ. ტელეპნევს, სკკპ არხანგელსკის საოლქო კომიტეტის ყოფილ პირველ მდივანს, ხაბაროვსკიდან ლ. კ. ობუშენკოვს, სტეპანაკერტიდან გ. ა. პოღოსიანს, მოლდავეთიდან პ. პ. პეტრიკს და ბევრ სხვას.

საიდუმლოების გრიფი აღნიშნულ დადგენილებებზე ზღუდავს და ხელმიუწვდომელს ხდის ამ დოკუმენტებს.

ყველაზე „ღირსეული" ადგილი ამ სიაში უკავიათ კომუნისტური პარტიის უმაღლესი ორგანოების წარმომადგენლებს. მაგალითად: სკკპ ცკ-ის მდივანმა ი. ა. მანაენკოვმა 1990 წ. 18 იანვარს 3 სულზე მიიღო 4 ოთახიანი ბინა საერთო ფართი — 130,3 მ², საცხოვრებელი 80,3 მ².

სკკპ პოლიტბიუროს წევრმა და გაზეთ „პრავდის" მთავარმა რედაქტორმა ი. ტ. ფროლოვმა, 1989 წ. 25 სექტემბერს 3 სულზე მიიღო 4 ოთახიანი ბინა საერთო ფართით 125,2 მ², საცხოვრებელი 75,8 მ².

ა. ს. ზასოხოვმა, სკკპ პოლიტბიუროს წევრმა, ცკ-ის მდივანმა, 1989 წ. 2 აპრილს 2 სულზე მიიღო 2 ოთახიანი ბინა, საერთო ფართი — 100,9 მ². საცხოვრებელი 44 მ².

ა. ვ. რომანცოვმა სსრკ სახალხო კონტროლის თავმჯდომარის მოადგილემ 1989 წ. 13 აპრილს 3 სულზე მიიღო 3 ოთახიანი ბინა, საერთო ფართი 108,4 მ², საცხოვრებელი — 57,1 მ².

**გული არ დაწყვეტიათ სახალხო კონტროლის კომიტეტის სხვა წევრებსაც. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს წევრთა ბინებით დაკმაყოფილება წარმატებით ხორციელდება. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობისას ი. პ. ბატა-**

**(დასასრული 33-ე გვ.)**

## საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციაში

9 ნოემბერს საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციაში მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულება, რომლის თანახმადაც საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს, როგორც გამონაკლისი, ნება დაერთო მიჰყიდოს ასოციაცია „პეგასს" სხვადასხვა ლიტერატურა სოფლის სკოლის ბიბლიოთეკისათვის უსასყიდლოდ გადასაცემად.

●

15 ნოემბერს საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი ბატონი დემურ ბაშელეიშვილი შეხვდა პოლონეთის სავაჭრო-სამომსახურებო კომპანია „აიას" პრეზიდენტს ბატონ ალექსანდრე პაპოვს. შეხვედრის დროს განიხილეს ორ მხარეს შორის კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის საკითხები. მოლაპარაკების შემდეგ საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციასა და პოლონეთის სავაჭრო-სამომსახურებო კომპანია „აიას" შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ. ხელშეკრულება ითვალისწინებს მხარეებს შორის მხატვრული ფილმების გაცვლას კინოთეატრებსა და კინოდარბაზებში ჩვენებისათვის.

●

17 ნოემბერს საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციაში განიხილეს ხუთნაწილიანი დოკუმენტური ფერადი ფილმის „მცხეთას" გადაღების მიმდინარეობის საკითხები. რეჟისორმა უშანგი მჭედლიძემ აღნიშნა, რომ ფილმის გადაღება დასასრულს უახლოვდება და მომავალი წლის დასაწყ[illegible] გამოვა ეკრანებზე.

## ნეტავ არიან მორწმუნენი...

**კაცს** გაუჭირდება იმის წარმოდგენა, რომ ამ ფარლალალა შენობაში, მიუსაფრობის გრძნობას რომ აღძრავს, რაიმე დაწესებულება ან საწარმო იქნება მოთავსებული და თუ შიგ მაინც შეიხედავს, მხოლოდ იმ იმედით, რომ ეგება, ბედად ძეხორციელი ნახოს და ამბავი ჰკითხოს. შეცბუნდება, როცა აღმოაჩენს, რომ სწორედ აქ ყოფილა მოთავსებული დუშეთის ხალიჩების საქსოვი საამქრო. კედლით ალაგ-ალაგ გაყოფილი დიდი დარბაზის ერთ მხარეს საქსოვ დაზგებს რამდენიმე ქალი მისჯდომია და ხმაამოუღებლივ ქსოვს. ნელ-ნელა ემატება ფერი-ფერს და იკვეთება ორნამენტი პატარა ოთხკუთხა ხალიჩებზე. და თუმცა მომსვლელი აქ იშვიათია და მით უმეტეს გაზეთის კორესპონდენტი, ცნობისმოყვარეობას არავინ იჩენს და მისვლის მიზეზს არ მეკითხება. ალბათ იმიტომ, რომ აღარა აქვთ იმედი, მათი პატარა, უჩუმარი საამქროს სახელის წარმოსაჩენად თუ მივა ვინმე. არადა იყო დრო, როცა დიდი ზომის ხალიჩები იქსოვებოდა და დიდი მაზანდაც ჰქონდა საბჭოთა კავშირისა თუ საზღვარგარეთის ბაზრებზე. იმასაც ამბობდნენ, რომ იზმირის საერთაშორისო ბაზრობაზე დიდი მოწონება დაიმსახურა და მრავალმა ქვეყანამ გამოთქვა დუშური ხალიჩების შეძენის სურვილიო. მერე რატომღაც არარენტაბელურად მიიჩნიეს ხალიჩების წარმოება და საამქრო დაიხურა. ამ ორიოდე წლის წინ კი კვლავ განახლდა და იმ დიდი ზომის ხალიჩების ნაცვლად ნახევარი მეტრის სიგრძე-სიგანის მქონე ხალიჩების ქსოვა დაიწყეს.

თუ რატომ არის უფრო ხელსაყრელი ამ ხელისგულისოდენა ხალიჩების ქსოვა, ეს, უთუოდ, უკეთ იციან საწარმოო გაერთიანება „სოლანის" მესვეურებმა, იმათ, ვისაც ეკუთვნის ეს საამქრო, მაგრამ ერთი რამ, როგორც ჩანს, მათაც გამორჩათ მხედველობიდან. ის, რომ შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის ხარისხი პირდაპირპროპორციულია შრომის პირობებისა. შრომის პირობებზე ლაპარაკი კი, გულახდილად რომ ვთქვათ, ცოტა არ იყოს უხერხულია დუშეთის ხალიჩების საამქროში, რადგან აქ არავითარი პირობა არ არის. ეს ვეებერთელა ფარლალალა ოთახია საამქროც, გასახდელიც, სასადილოც. თავიანთი საგარეო ტანსაცმელი დაზგებს შორის გაბმულ თოკებზე გადაუფენიათ, შესვენებისას კი იქვე დარბაზის მეორე მხარეს მდგარ ერთადერთ მაგიდასთან საუზმობენ, თუმცა შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად ჩანს, როგორ რიალებენ ჰაერში ნართის ნარჩენები, რომელსაც ნაწილობრივ ნამდვილად ვერ დააღწევ. იქვე ყრია ძველი დაზგების ნარჩენები, სამშენებლო მასალები, გათბობის მილები, რადიატორები. ამ ორიოდე კვირის წინ გათბობა გაჰყავდათ საამქროში. შარშანდელი ზამთარი თუნუქის ღუმელების იმედად ყოფილან. ეგ წკეპლები ვითომ გაათბობსო, — ერთი კი იკითხეს. უფრო სწორად, დააზუსტეს, რომ არ გაათბობს. ისე, უკმაყოფილების გამოთქმას არც აპირებდნენ, გაღიზიანებაც კი აღარა აქვთ ყოველივე ამის გამო. იციან, მაინც არაფერი შეიცვლება. სხედან 8 საათი ხარიხასავით გადებულ ფიცრებზე და ქსოვენ უჩუმრად, ბედს შეგუებული ადამიანის სიმშვიდით. თითოეული ხალიჩის მოქსოვისათვის 40 მანეთს აძლევენ, თვეში ოთხი ცალის მოქსოვა თუ შესძლეს, პრემია-დანამატის სახით 40 მანეთს კიდევ დაუმატებენ და ხელზე 177 მანეთამდე მიიღებენ. არადა მიუხედავად იმისა, რომ ახალბედა არავინ არის, ყველა როდი ახერხებს თვეში ოთხი ხალიჩის მოქსოვას. ძაფებსაც თვითონ ღებავენ. ზოგს წენგოში, ზოგს ანწლში, ზოგს კი ქიმიურ საღებავში. ისეც ხდება, რომ ძაფი ჭრელდება. სწუხან, მაგრამ რა ქნან, რასაც სწვდება მათი, როგორც მღებავის კვალიფიკაცია, და საღებავის ხარისხი, ისე შრომობენ. აქაურმა ხელმძღვანელებმა ან „სოლანის" წარმომადგენლებმა თუ იციან-მეთქი თქვენი ამბავი, ვკითხე. თანაგრძნობით შემომღიმეს. აქაური ხელმძღვანელები მაშინ მოდიან, როცა საჩუქარი დასჭირდებათ ვინმესთვისო. ვითიქრე, ამას არ დავწერ-მეთქი. მაგრამ ამაზე უარესი რაღა უნდა უყონ. სამარისია ათიოდე წუთით დარჩეთ ამ საამქროში და საუბარში აიყოლიოთ ეს ქალები, რომ თქვენ თვალწინ თავდაპირველ მნიშვნელობას დაიბრუნებს სიტყვები „საარსებო ლუკმისათვის შრომა". ოსტატი მინდოდა მენახა, ან საამქროს უფროსი, მაგრამ არავინ იყო. ეგენი იშვიათად მოდიან, ან რაში გვჭირდებიან, ჩვენ ჩვენი საქმე ვიცითო. ოსტატს არც გაემტყუნება, თუ აქ არ ათენ-აღამებს. 110 თუ 120 მანეთი ჰქონია ხელფასი და თურმე. მოწადინების დაოსტატება ეგალება. მოწაფეობის სურვილი კი დიდი ხანია, არავის გამოუთქვამს... სასიხარულო, რომ ყოველივე ამის მიუხედავად ის ქალები პოულობენ იმდენ სულიერ ძალას, გემოვნებით შეახამონ ფერები ამ ერთი ბეწო ხალიჩებზე.

საოცარი უმწეობის გრძნობა გამომყვა იქიდან წამოსვლისას. იგივე გრძნობა მეუფლება ახლაც, როცა ამ წერილს ვამთავრებ, რადგან ვიცი, რომ მათ ცხოვრებაში არაფერი შეიცვლება სასიკეთოდ ალბათ, ვერც ეს წერილი უშველით რამეს, თუმცა საამისო დაპირება არც მიმიცია.

**გულნარა ბაშარული**

მხატვრობა





მხატვარი, რომლის შესახებაც გიამბობთ, თბილისში არ ცხოვრობს. უფრო სწორად, ქალაქში რომ სოფელია — დიღომი, იქ ცხოვრობს. პერსონალური გამოფენა არ ჰქონია თბილისში და დიღხანს კიდევ არ ექნება (თვითონ ასე სურს). ფლობს — დეკორატიულ გამოყენებით ხელოვნებას, გობელენს, თექას, აკეთებს ესკიზებს ჭედურობისათვის, ხის ფორმებისათვის. დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი, არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი და არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორი — ბატონი თენგიზ ჯაფარიძე.

ალბათ, უადგილო შეკითხვაა, მაგრამ მაინც დამებადა — ასე რატომ ხატავს-მეთქი?! — იმდენად იგრძნობა გამუდმებული ძიება, სიახლე, მოუსვენრობა, ექსპერიმენტები. როცა ვესაუბრებოდი, ასე მეგონა, ფიქრისთვის განკუთვნილ დროს ვართმევდი.

ბატონი თენგიზი თექაზე მუშაობს.

მატყლი, ძაფი ბუნებრივი მასალაა და ამიტომაც არის ალბათ, კეთილშობილი, მაგრამ შესრულე-

## თექა — თექაზე მეტი

ხის [illegible] ძალზე ძნელია [illegible] გამოგივიდეს. მთავარი მიზანი ფერწერული ამოცანების მიღწევაა ბატონი თენგიზისათვის... ხაზი, პლასტიკა, ხასიათი, განწყობილება — ისე იგრძნობა თექაში, თითქოს ყოველი ფთილა, ყოველი ძაფი (მალის ძაფი პირველად მან გამოიყენა ხაზისათვის) სათითაოდ, უდიდესი სიფრთხილით, უფაქიზესად არის ჩაწყობილი და ერთი წუთის შემდეგ ჩამოვარდება და დაიშლება... მაგრამ არ ჩამოვარდება და არც დაიშლება იმიტომ, რომ არის ჭეშმარიტი, ნამდვილი და სამუდამო.

ეს ჩემი აღფრთოვანებული ტონი ბატონი თენგიზის სურვილი არ გახლავთ. არასდროს უფიქრია რეკლამაზე და ფიქრობს, რომ ქართველი ხელოვნების მოყვარულთა წინაშე რომ წარსდგეს, კიდევ უნდა ეძიოს, კიდევ უნდა იმუშაოს და ამისათვის, ალბათ, წელი დასჭირდება. მანამდე კი მისი ნამუშევრები გამოფენილი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში მეტროპოლიტენის მუზეუმის გალერეაში, იტალიაში, საფრანგეთში, კანადაში, თურქეთში, შვეიცარიაში — მსოფლიო ბიენალეზე... მისი გობელენი 30000 დოლარად შეაფასეს ამერიკელმა სპეციალისტებმა. (დღეს და ალბათ, საერთოდაც ის მისი ბინა-სახელოსნოს მშვენებაა).

როგორც ბატონმა თენგიზმა ბრძანა, ქართველები ნიჭის გამო ბოლო ადგილზე არაფერში არ არიან, მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ ნიჭის გამო... მთავარი თექის ხელოვნებაში შრომა და ექსპერიმენტია.

ფოტოებზე თქვენ ხედავთ რეპროდუქციებს, სადაც არ იგრძნობა უამრავი ფერი, დინამიკა, პლასტიკა, ხაზი... მაგრამ ალბათ იგრძნობა ის, რომ თენგიზ ჯაფარიძის თექა — თექაზე მეტია.

**მაია ჟალაგანიძე**

# კანონის დაქვემდებარებულის საფუძველზე

## ანუ

## ვინ იღებს ელიტარულ ბინებს

(დასასრული)

ლინმა 3 სულზე მიიღო 3 ოთახიანი ბინა ფართით 104,9მ², საცხოვრებელი — 52,8 მ², მ. ს. შკაბარდინიამ, სსრკ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველმა ორ სულზე მიიღო 126,1 მ² საერთო ფართით, საცხოვრებელი — 69,3 მ². სამოთახიანი ბინები ორ სულზე მიიღეს მათმა კოლეგებმა — მინისტრებმა: ვ. ფ. კონოვალოვმა — საერთო ფართი 103,4 მ², საცხოვრებელი — 51,2 მ², ი. კ. სემენოვმა — საერთო ფართი 109,2 მ², საცხოვრებელი — 52,6 მ², ვ. ფ. იაკოვლევმა — საერთო ფართი 108,6 მ², საცხოვრებელი 52,7 მ², 3 სულზე 4 ოთახიანი ბინები მიიღეს მინისტრებმა: გ. ა. გაბრიელიანცმა — საერთო ფართი 135,8 მ², საცხოვრებელი — 74,2 მ², და ლ. ე. დავლეტოვამ — საერთო ფართი 118,3 მ², საცხოვრებელი — 68,1 მ².

ჩვენს სიაში ღირსეულად არიან წარმოდგენილი სახალხო დეპუტატები, რომლებიც ეხლა საპრეზიდენტო საბჭოში შედიან.

ჩ. ტ. აიტმატოვს 5 სულზე მისცეს 4 ოთახიანი ბინა საერთო ფართით 159,9 მ², საცხოვრებელი — 84,2 მ². ვ. ა. იარინმა 4 სულ მოსახლეზე მიიღო არამარტო 4 ოთახიანი ბინა საერთო ფართით 120,3 მ², საცხოვრებელი — 69,6 მ², არამედ მოსკოვში მუდმივი ჩაწერის უფლებაც, რაც საბჭოთა კავშირის კანონის „სსრკ სახალხო დეპუტატთა სტატუსის" 32-ე მუხლის დარღვევაა.

ე. მ. პრიმაკოვმა პრივილეგიების წინააღმდეგ შექმნილი კომისიის თავმჯდომარემ, 1 სულზე მიიღო 2 ოთახიანი ბინა საერთო ფართით 104,3 მ², საცხოვრებელი — 39,5 მ², სკკპ ცეკას საქმეთა მმართველობამ მის ქალიშვილს ნ. ე. პრიმაკოვას 2 სულზე მისცა 3 ოთახიანი ბინა საერთო ფართით 88,7 მ², საცხოვრებელი — 50,6 მ².

მხოლოდ 1989 წ. 1 იანვრიდან უკვე დასახელებულ პირთა გარდა „ელიტურ" სახლებში მიიღეს ბინები ასევე ყოფილი თუ ახლანდელი უმაღლესი რანგის მშობლების — ნ. ნ. სლიუნკოვის, გ. ვ. რომანოვის, გ. ვ. კოლბინის შვილებმა და სხვა სახელმწიფო მოღვაწეთა სხვა ნათესავებმა.

სსრკ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ო. სუკალომ 3 სულზე მიიღო 3 ოთახიანი ბინა საერთო ფართით 112,9 მ², საცხოვრებელი 52,6 მ².

სსრკ უმაღლესი სასამართლოს წევრებმა ვ. ა. იასკინმა, ი. ვ. პარხომჩუკმა 3 სულზე თითოეულმა მიიღო 3 ოთახიანი ბინა საერთო ფართით 101 2², საცხოვრებელი — 57 მ².

საცხოვრებელი ფართის კანონის დარღვევით ბინა მიიღეს გენერალური პროკურორის მოადგილეებმა ი. ე. ძენიტისმა და ვ. ი. კრავცევმა, 2 სულზე თითოეულმა მიიღო 2 ოთახიანი ბინა საერთო ფართით 70 მ², საცხოვრებელი — 40 მ²-ზე მეტი.

სსრკ მთავარმა სახელმწიფო არბიტრმა ი. გ. მატვეევმა ოთხ სულზე მიიღო 4 ოთახიანი ბინა საერთო ფართით 129,7 მ², საცხოვრებელი — 73,9 მ², მისმა პირველმა მოადგილემ ვ. ნ. ისაიჩევმა კი 4 სულზე — 4 ოთახიანი ბინა მიიღო საერთო ფართით 132 მ², საცხოვრებელი — 71,5 მ².

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობამ თხოვნით მიმართა მოსკოვის საქალაქო საბჭოს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ი. პოლოზკოვას დედაქალაქში ჩაწერის და მისი ოჯახისათვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფის შესახებ. საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა სამმართველომ 4 სულზე გამოუყო 4 ოთახიანი ბინა № 52, საერთო ფართით 125,2 კვ მ². საცხოვრებელი — 80,8 კვ. მ². ბინა მდებარეობს სტაროკონიუშნის შესახვევში № 26.

ესენი ის ადამიანები არიან, რომლებმაც უშუალოდ უნდა დაიცვან კანონი და რომლებიც თავიანთი ანგარებიანი მიზნების გამო თვითონვე არღვევენ მას. როგორ შეიძლება ასეთ სიტუაციაში ვიყოთ დარწმუნებულნი, რომ ისინი დადგებიან კანონის [illegible]ზე?

**მოამზადა ნინო რაზმაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პურის ყანების საიდუმლოება



ამ ფენომენის შესახებ ქართველმა მკითხველმა პირველად გასული წლის გაზაფხულზე გაიგო, თუმცა თვით ფენომენის სამშობლოში — სამხრეთ ინგლისში — იგი უკვე ათ წელიწადზე მეტია გასაოცარ და ამოუხსნელ მოვლენადაა მიჩნეული: ყანაში მოულოდნელად ჩნდება სხვადასხვა, უფრო მეტად კი წრიული ფორმის ჩაზნექილობანი, ხშირად ვრცელი ფართობის მომცველი, სადაც პურის თავთავები სპირალისებურად დაწოლილია რაღაც უცნობი ძალის მოქმედების შედეგად. თან სრულიადაც არაა დაზიანებული და ზრდას განაგრძობს ასეთ მდგომარეობაში. ამ ფენომენის შესახებ უკვე დაიწერა რამდენიმე წიგნი და ასობით სტატია.

წლეულს აღნიშნული ფენომენისადმი ინტერესი მკვეთრად გაიზარდა. საქმე იმაში გახლავთ, რომ წრეებსა და წრეთა სისტემებთან ერთად ყანებში ჩნდება ძალზე რთული პიქტოგრამები.

სულ ზაფხულის განმავლობაში აღირიცხა 500-ზე მეტი შემთხვევა, ცალკეული ეგზემპლარები კი უზარმაზარ ფართობს მოიცავენ. მკვლევართა ყველაზე აქტიური ჯგუფი გაერთიანდა წრიული ფენომენების კვლევით ცენტრში, რომელმაც ა. წ. აგვისტოში საკუთარი პერიოდული გამოცემის, ჟურნალ „მარცვალთმცოდნის" პირველი ნომერი გამოუშვა (გამომცემელი და რედაქტორია ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი და მწერალი ჯონ მიშელი). ჟურნალში თავმოყრილია ყველა დღემდე გამოთქმული ძირითადი თვალსაზრისი, რაციონალურით დაწყებული და უკიდურესად მისტიკურით დამთავრებული, ფენომენის წარმოშობის მიზეზებისა და ბუნების თაობაზე. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა იუმორს, ხოლო თვით გამომცემელთა განწყობილება ობიექტურობით და გონებაგახსნილობით ხასიათდება. ჟურნალის სატიტულო გვერდს ამშვენებს აწ გარდაცვლილი მეცნიერის არტურ კესთლერის ფონდის მიერ დაწესებული ჯილდო 5000 გირვანქა სტერლინგი ფენომენის დამაკმაყოფილებელი და დასაბუთებული ამოხსნისათვის.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორჯერ გადიდებულ თანხას ჰპირდება ფენომენის ამომხსნელს გაზეთი „სანდი მირორი", ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში კი ამერიკელებისათვის ჩვეული გულუხვობით ნანატრი ჯილდო ნახევარ მილიონ დოლარს უახლოვდება.

მაინც რას ფიქრობენ მეცნიერები აღნიშნული ფენომენის შესახებ? ყველაზე გავრცელებულად ითვლება ვერსია, რომლის თანახმადაც წრიული ფენომენები გამოუცნობი მფრინავი ობიექტების დაჯდომის ადგილზე დატოვებული კვალია. ამას უკავშირებენ თვითმხილველთა იმ განცხადებებსაც, რომელთა მიხედვით რამდენიმეჯერ ყანებში „წრეების" ფორმირების წინ (უმეტეს წილად ღამით) შეინიშნებოდა სტვენის მაგვარი ხმები და მოციმციმე ნათება. საინტერესოა, რომ ბიოლოკაციის მეთოდით ჩატარებული გამოკვლევა აღრიცხავს მხოლოდ სუსტი ველის არსებობას, რომელიც თითქმის ნულამდე სუსტდება წრის ცენტრისკენ მოძრაობისას. ჩვეულებრივი სამეცნიერო ხელსაწყოები კი ვერაფერს აღნიშნავენ.

ცნობილი მეტეოროლოგის პროფესორ ტერენს მიდენის თვალსაზრისით, წრიული ფენომენების საიდუმლოება საერთოდ არ არსებობს: ყველაფერი აიხსნება სფერული მეხის ან ელექტრული გრიგალის ე. ი. ნორმალური ატმოსფერული მოვლენებით გამოწვეული შედეგებით. საკმარისია კიდევ ერთხელ დააკვირდეთ ფოტოზე მოყვანილი პიქტოგრამის კონფიგურაციას, რომ დაგვეთანხმოთ იმაში, თუ რაოდენ სუსტია პატივცემული პროფესორის ახსნა. ტერენს მიდენის უკიდურესად „მიწიერ" ახსნას ეწინააღმდეგება იმდენადვე უკიდურესად მისტიკური თვალსაზრისი, რომელსაც ავითარებს მწერალი პატრიკ ჰარპური. მისი აზრით, წრეები და პიქტოგრამები წარმოადგენენ „მსოფლიო სულის" (Anima Mundi) გამოხატულებას, რასაც ადამიანები ყოველთვის თავიანთი ეპოქისათვის დამახასიათებელი კულტურის კატეგორიათა საშუალებით ინტერპრეტირებას ცდილობდნენ. ამ ორ უკიდურეს თვალსაზრისს შორის შეიძლება მოთავსდეს მეცნიერ ჯორჯ უინგფილდის ჰიპოთეზა, რომლის თანახმად ჩვენ საქმე უთუოდ გვაქვს არაადამიანური ინტელექტის გამოვლინებასთან, რომელიც ცდილობს გარკვეული ინფორმაცია მოგვაწოდოს კოდირებული სახით და რომლის გაშიფვრა აუცილებელია ჩვენი ბედის და მრავალი ამჟამინდელი პრობლემის ახსნისათვის.

ამჟამად ყურადღების ცენტრშია პიქტოგრამების ინტერპრეტაციის საკითხი. პირველი შედარებით მარტივი პიქტოგრამა სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა რობერტ ტრეველიანმა ქალაქ ძილკომბის მახლობლად ა. წ. 23 მაისს, ხოლო ყველაზე რთული და დახვეწილი ფორმის პიქტოგრამა, რომელსაც სურათზე ხედავთ, აღმოაჩინეს ივლისის შუა რიცხვებში. ლონდონის უნივერსიტეტის აფრიკისა და აღმოსავლეთის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელმა ჩარლზ დ'ორბანმა ყურადღება მიაქცია პიქტოგრამების ძველ შუმერთა ნაწერებთან მსგავსებას (დაახლოებით მე-3 საუკუნე ჩვ. წ. აღრიცხვამდე). „იეროგლიფების" გაშიფვრის შედეგად მიიღო ასეთი ტექსტი: „ჭები აავსეთ! მოსალოდნელია გვალვა". მეტეოროლოგი ფილიპ იდენი გაზეთ „თუდეი"-ში აღნიშნავს პიქტოგრამების მეტეორუკებთან მსგავსებას. ყურადღება იმასაც მიექცა, რომ თითქმის ყველა დასახლებული ადგილის სახელწოდება, რომლის მახლობლადაც აღმოჩენილია ფორ-



მაციები პურის ყანებში, ლათინური ასო „W"-თი იწყება.

ასეა თუ ისე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ყოველგვარ გამოუცნობ ფენომენებს აქვთ გარკვეული ეკოლოგიური მნიშვნელობა: ისინი გვახსენებენ ერთმანეთთან, გარემოსთან, დედამიწასთან, კოსმოსთან კავშირის შესახებ, მათთან ერთიანობის გაცნობიერებას უწყობენ ხელს. დასავლეთში ბევრს ახსოვს ინგლისელი პროფესორის ჯეიმს ლავლოკის იდეები და მისი ჯგუფის მიერ ინიცირებული ე. წ. „პროექტი გეა", რომლის თანახმად, დედამიწა ავლენს ცოცხალი არსებობის გარკვეულ ნიშნებს და შეიძლება ითქვას, დიალოგს აწარმოებს კაცობრიობასთან. პროექტი გულისხმობდა ადამიანთა შორის ურთიერთობების, სოციალური და ტექნოლოგიური პროცესების ისეთნაირ რეგულირებას, რომ ადამიანის, დედამიწისა და კოსმოსის ჰარმონიზაციისათვის შეგვეწყო ხელი. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ინტენსიური გამოკვლევა მიმდინარეობს წინაისტორიული და წარმართული დროიდან შემორჩენილი ყველა ნაგებობისა, მეგალიტებისა და დოლმენების ჩათვლით, რომელიც, ზოგიერთი მკვლევარის თვალსაზრისით, წარმოადგენდა ეზოტერულ ცოდნაზე დამყარებულ გლობალური ჰარმონიზაციის ერთიანი სისტემის საკვანძო წერტილებს. ასეთი სახის გამოკვლევის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს ახლახან გამოცემული, მაგრამ უკვე გახმაურებული წიგნი „მზე და გველეშაპი", რომლის ავტორებია ჰამიშ მილერი და პოლ ბროდჰერსტი.

უნდა ვივარაუდოთ, რომ სამხრეთ ინგლისის ეს ტერიტორიები ამგვარი კვლევისათვის მეტად საინტერესოა. ასე, რომ დაველოდოთ ახალ ფაქტებს და აღმოჩენებს.

**გიორგი ხუციშვილი,**
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტის დოცენტი, ამერიკის დაუზერთა (ბიოლოკაციის) საზოგადოების წევრი.

## კლუბი — ზე



ბოლო ხანებში ინტერესი ისეთი აკრძალული თემებისადმი, როგორიცაა გამოუცნობი მფრინავი ობიექტები, ექსტრასენსორიკა, ფსიქოტრონიკის საკითხები, სხვადასხვა ფენომენები, პირდაპირ გეომეტრიული პროგრესით იზრდება. ბევრი თვლის, რომ ეს გარკვეულწილად განპირობებულია სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისით, მაგრამ ასეა თუ ისე, ყველაფერი ეს ჩვენი ცხოვრების თანმდევი რეალობაა და მას ვერსად გავექცევით.

„პეგასის" რედაქციამ გადაწყვიტა 1991 წლიდან სისტემატურად დაბეჭდოს თემატური გვერდები, მოამზადოს ცალკეული პუბლიკაციები ამ თემებზე. რედაქცია დარწმუნებულია, რომ თქვენი პრაქტიკული თანადგომა, ძვირფასო მკითხველებო, გამოხმაურება, საქმიანი შენიშვნები, თანამშრომლობა, ამ ჩანაფიქრს უდავოდ დიდებით სამსახურს გაუწევს.

მასალები გამოქვეყნდება მუდმივი რუბრიკით „ზე".

ალბათ, ძნელი მისახვედრი არაა, თუ რატომ მოვნათლეთ ასე ჩვენი კლუბის სახელწოდება. უფრო იმიტომ, რომ აქ იქნება პუბლიკაციები ზეცივილიზაციაზე, ზეადამიანურ შესაძლებლობებზე, ზეფენომენებზე და სხვა.

დღეს გთავაზობთ კლუბ „ზე"-ს პირველ გამოშვებას.

## გამოშვება № 1

### ინფორმაცია

#### ასზე მეტი ჩილელი გამოუცნობი მფრინავი ობიექტის ფრენის მოწმე გახდა

სანტიაგოში 5 ნოემბერს ასზე მეტი ჩილელი რამდენიმე წუთის მანძილზე აკვირდებოდა გამოუცნობი მფრინავი ობიექტის ფრენას ლიმარის დაბაში, რომელიც ქვეყნის დედაქალაქის ჩრდილოეთით 400 კილომეტრზე მდებარეობს. როგორც ადგილობრივი გაზეთი „ტერსერა" წერს, დაახლოებით 100 დიამეტრი და 20 მეტრი სიმაღლის უცხო პლანეტის ხომალდი ძლიერ იყო განათებული. როგორც თვითმხილველნი ამბობენ, ობიექტი დაჯდა ძნელად მისასვლელ ადგილას ლიმარის მახლობლად.

სამი თვის წინათ გამოუცნობი მფრინავი ობიექტის ფრენას აკვირდებოდნენ ჩილეს ქალაქ არიკის მცხოვრებნი, რომელიც პერუს საზღვართან მდებარეობს. როგორც გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში გამოუცნობი მფრინავი ობიექტების დარგის ჩილელმა სპეციალისტმა ხორხე ანფრუანსმა თქვა, ამჟამად არსებობს თვითმხილველთა მრავალი მოწმობა, რომლებიც აკვირდებოდნენ გამოუცნობი მფრინავი ობიექტების ფრენას ჩილეს ტერიტორიაზე.

## სატყუარამ მთვარემდე მიაღწია

კიდევ ერთმა საგაზეთო სატყუარამ — ამჯერად ძალზე დამაინტრიგებელმა ფოტომ — შემოიარა ამ ცოტა ხნის წინათ საზღვარგარეთისა და საბჭოთა პრესის ფურცლები. მასზე არც მეტი, არც ნაკლები, მთვარეზე მოთავსებული ამერიკული ბომბდამშენი, იყო გამოსახული, რომელიც იქ თითქოსდა, უცხოპლანეტელებს მიუტანიათ. როგორც გაზეთ „რაბოჩაია ტრიბუნაში" ვკითხულობთ, რედაქციამ თავიდანვე ეჭვქვეშ დააყენა ამ ფოტოს რეალობა, რომელიც თითქოს საბჭოთა მეცნიერს, ვინმე დოქტორ სტანისლავ მაკეევს გადაუცია კანადური ყოველკვირეულის „უიკლი უორლდ ნიუსისათვის".

კომპეტენტურ პირთა ჩარევით გაირკვა, რომ სინამდვილეში ფოტოზე გამოსახულია მთვარის უკანა მხარის ცენტრში მდებარე კრატერი, რომელსაც ფალსიფიკატორებმა სულ მარტივად მიახატეს თვითმფრინავი. კრატერის განივკვეთი 100 კილომეტრს უდრის. და თუ დავიჯერებთ, რომ მასზე ნამდვილად არის ბომბდამშენი თვითმფრინავი, მისი სიგრძე სულ მცირე 50 კილომეტრს უნდა უდრიდეს, რაც ცხადია, აბსურდზე აბსურდია. და რომ ეს მართლაც ასეა, ამის დასამტკიცებლად და კიდევ მკითხველთა დაჟინებული თხოვნის დასაკმაყოფილებლად, ლირსეული მოკითხვა გადაეცათ ბოლომდე უცნობად დარჩენილ „დოქტორ მაკეევისათვის", „რაბოჩაია ტრიბუნა" პირველი ფოტოს გვერდით აქვეყნებს მეორესაც, სადაც ბომბდამშენმა მთვარეზე ადგილი „დაუთმო" ოსტანკინოს ტელეცენტრიდან იქ „გადატანილ" სატელევიზიო ანძას.





### ინფორმაცია

#### ვითომ უმნიშვნელოა?..

გაზეთ „პობრატიმის" 1990 წლის მე-7 ნომერში გამოქვეყნდა საინტერესო მასალა. იგი ეხება გასულ საუკუნეებში სხვადასხვა ქვეყნებში შემჩნეულ ე. წ. „კეთროვანთა სახლებს", რომელთა მკვიდრნიც, რამდენიმე თაობის წარმომადგენელნი, სწორედ რომ კეთრის მსხვერპლნი ხდებოდნენ. რამდენიმე ხნის წინათ გერმანელმა მკვლევარმა პ. ჰოლმა გამოიკვლია ერთ-ერთი ამგვარი სახლის 58 მიცვალებული და დაადგინა, რომ ყველა მათგანს ეძინა ცუდ ზონაში. სპეციალისტებმა ბიოლოკაციის მეთოდით გამოიკვლიეს რამდენიმე ასეთი გეოპათოგენური ადგილი და იქაურ მაცხოვრებლებს ურჩიეს თუ როგორ უნდა განელაგებინათ ავეჯი, რათა საშიშ ზონაში არ მოხვედრილიყვნენ. ზალცბურგელმა მეცნიერმა კ. ბაჩლერმა გამოიკვლია კიბოთი დაავადების 500 შემთხვევა და დაადგინა, რომ ყველა მათგანი დაკავშირებული იყო მიწიდან მომავალ იდუმალ სხივებთან. ალბათ, ამიტომაც არაა შემთხვევითი, რომ ცხოველები ასეთ ადგილებს გაურბიან.

საერთოდ, ამ პრობლემას ახლა გარკვეული ყურადღება ექცევა ყველგან. ჩვენთან კი ეს საკითხი ჩანასახოვან მდგომარეობაშიც კი არ არის. რატომ, უმნიშვნელო პრობლემაა, თუ?..

პეგასი პეგასი პეგასი



გამოიწერე და სხვასაც ურჩიე
გამოიწეროს საქართველოში ერთადერთი სპეციალიზებული
გაზეთი „პეგასი“, რომელიც ძირითადად
კულტურის, ხელოვნების საკითხებს აშუქებს.
საზოგადოების ზნეობრივი ფერისცვალების
კატალიზატორი მისი კულტურაა.
„პეგასი“ კი კულტურისა და ხელოვნების შესახებ
შენს ოჯახში გიამბობს.
ხვალინდელ თავისუფალ, დემოკრატიულ
საქართველოს მაღალი კულტურის ადამიანები სჭირდება.
ნუ დააყოვნებ, გამოიწერე „პეგასი“,
რომელიც ერთი წლით 12 მანეთი ღირს.
ხელმოწერა 30 ნოემბრამდე გრძელდება.
ჩვენი ინდექსია 66419.


## მოზაიკა



### მადონა

წარსული ამბების გახსენება შეიძლება პოპ-მომღერლის კარიერისათვის ბრწყინვალე სტიმულიც კი იყოს. ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მადონა უკან იხედება. იხსენებს რა კოშმარებს და ბავშვურ ფანტაზიებს, მას ყველაფერი ეს მოხერხებულად გადააქვს მუსიკალურ ვიდეოფილმებში, რომლებიც ყველაზე სწრაფად იყიდება. იგი ასეთი „მატერიალური“ გოგოა.

მადონა ყველა დროის მომღერლებში გაცილებით იღბლიანია. დღესდღეობით მისი ქონება 100 მილიონი დოლარით ფასდება. იგი თავის თავზე ამბობს: „მე ძლიერი ვარ, ლამაზი და სექსუალური“. ამავე დროს მადონა დანაკარგს არ აქცევს ყურადღებას; როდესაც პარიკმახერმა გააფრთხილა იგი, რომ მუდმივი გაუფერულება თმების გაცვენას გამოიწვევდა, მან უპასუხა: „ხმა გაკმინდე და გააკეთე, რასაც გეუბნებიან!“

შეხედულებები ამ სუპერვარსკვლავზე ისე მერყეობს, როგორც სეისმოლოგიურ სკალაზე მიწისძვრის შედეგად გამოწვეული რხევები. ნუთუ მისი მითი დასრულდა? მადონას საზაფხულო მოგზაურობას ყველგან გულცივი შეხვედრა ჰქონდა: იაპონიაში თქვეს, რომ იგი ახალგაზრდობის გემოვნებას აღარ შეეფარდებოდა, ამერიკაში წლის უვარგის მომღერლად დაასახელეს, ინგლისში უკვე აღარავის მოსწონს, იტალიაში მისი ჩამოსვლა თუ გამგზავრება არავის შეუმჩნევია. ნუთუ მართალია მადონას ვარსკვლავის „ჩაქრობა“?

●



### „ჰელოუ, დალი!“

იგი ხასიათითა და გარეგნობით ძლიერ ჰგავს მამამისს, ენტონი ქუინის, რომელმაც 1956 წელს ფილმში „ცხოვრების ჟინი“ პოლ გოგენის როლის შესრულებისათვის „ოსკარი“ მიიღო. მისი უმცროსი ვაჟიშვილი — ლორენზო ქუინი, მთავარ როლს ასრულებს ფილმში „დალი“, რომელიც ექსცენტრულ მხატვარზე მოგვითხრობს. „მეც სიურეალისტი ვარ“ — ამბობს 23 წლის პროფესიონალი მხატვარი და მოქანდაკე. — „დალი ჩემი კერპია. ოცნება ამიხდა, როდესაც მისი როლის შესრულება შემომთავაზეს“. სურათი ეკრანებზე გაზაფხულზე უნდა გამოვიდეს. ფილმი მთავრდება იმ პერიოდამდე, სანამ ესპანელი მხატვარი უზარმაზარი, აპრეხილი, მყვირალა ფერის ულვაშების ტარებას დაიწყებდა, რომელიც მისთვის დამახასიათებელ ნიშნად იქცა. გარეგნობის ასეთ შეცვლას ლორენზო ბეწვზე გადარჩა.

●

ალენ დელონი არ იყენებს შამპაცის სუნამოს — არამედ მას უშვებს. ემბლემა „ად“ შეიძლება შეამჩნიოთ საყოფაცხოვრებო მომსახურების კიდევ სხვა საქონელზეც. იმ ქვეყნებში, სადაც ეს პროდუქცია გამოდის: საათები, სათვალეები, შამპანური და წარმოიდგინეთ ბატის ღვიძლიც კი. კანის ბოლო ფესტივალზე დელონმა გააკეთა საკუთარი მარკის სმოკინგის სახალხო დემონსტრირება. იმის გარდა, რომ დელონი კინოში კიდევ მოღვაწეობს, — მისი მეორე საქმიანობა მეტად საყურადღებოა. მის გარეშე სხვა დანარჩენი არაფერია.

●

### „ადამიანი საკუთარი შეხედულებით“

„იშვიათია, რომ ფილმში წამოჭრილი საკითხები ცხოვრებაშიც გამოიყენო“ — ამბობს მსახი-



ობი დანიელ დეი-ლევისი („ოთახი გადასახედით“, „ჩემი ლამაზი სამრეცხაო“). მას მხედველობაში აქვს ფილმი „ჩემი მარცხენა ფეხი“, სადაც დანიელი ანსახიერებს ირლანდიელი მწერლის და მხატვრის კრისტი ბრაუნის სახეს, რომელსაც ცერებრალური დამბლა აქვს. გასულ კვირას 32 წლის დეი-ლევისი ვაშინგტონში ჩამოვიდა, რათა მხარი დაეჭირა კანონისათვის, რომელიც კრძალავდა შრომის უნარს მოკლებულ ადამიანთა დისკრიმინაციას. მსახიობს თავისი მიზანი ჰქონდა: მის მამინაცვალს დამბლა დაეცა. „მას არ სურს ვინმეს ტვირთად დააწვეს“ — ამბობს დეი-ლევისი. — თუმცა კრისტი ბრაუნი დაჟინებით მოითხოვდა ამის გახმაურებას“.

●

### როცა კანონი მართლა კანონობს

ქალაქ სტაფორდის (დიდი ბრიტანეთი) სასამართლომ ცნობილ მემანქანეს კეროლაინ კოსის გათხოვების ნება არ დართო. საქმე ისაა, რომ 17 წლამდე კეროლაინი მამრობითი სქესისა იყო და მას ბარი ერქვა. 1975 წელს, ურთულესი ოპერაციის შემდეგ, ბარი კეროლაინად იქცა. მაგრამ ახლა მის ოჯახურ ბედნიერებას ეწინააღმდეგებიან ინგლისური კანონები, რომელთა მიხედვითაც ადამიანებს, რომლებმაც ტრანსსექსუალური ოპერაცია გადაიტანეს, ქორწინების და პასპორტში დაბადების შესახებ შესაბამისი ცნობების შეცვლის უფლება არა აქვთ.



●

### უელსის პრინცესა

მორცხვი დაი დაქორწინდა პრინცზე და სხვადასხვა სტილის ქუდების ტარებამ გაიტაცა. უელსის პრინცესამ, რომლის თქმითაც მისი ტვინი „ბარდას“ ზომისაა, ბრიტანეთის „დრომოჭმულ“ სამეფო კარს მოუტანა მეტად საჭირო ბრწყინვალება.

„ტაიმი“

**მოამზადა ნინო რაზმაძემ და ნინო ბაშელეიშვილმა.**


© პეგასი
ინდექსი 66419

გაზეთი გამოდის თვეში ორჯერ

დაიბეჭდა საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბაში

სარედაქციო კოლეგია

მისამართი:
380062, თბილისი,
ი. ჭავჭავაძის პრ. № 55.

# ჯვარი და წმიდა გიორგი

ძვირფასო თანამოქალაქენო! 1990 წლის 23 ნოემბერს, პარასკევს, წმიდა გიორგის ხსენების დღეს, ქალაქ ჯვარში გაიმართება საქველმოქმედო საკრებულოს დამფუძნებელი კრება.

საქველმოქმედო საკრებულოს — დამოუკიდებელი, თვითმმართველობისა და თვითანაზღაურების პრინციპებით მოქმედი ნებაყოფლობითი ორგანიზაციის — უპირველესი ამოცანებია:

I. „ჯგეგეს", ანუ წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის აღდგენა-აშენება;

II. გიორგობის — ჩვენი მხარის დიდი დღესასწაულის აღდგენა-განახლება;

III. საზოგადოების ზნეობრივი და სულიერი ცხოვრების გამაჯანსაღებელი სხვა სასიკეთო საქმეთა განხორციელება;

IV. ქალაქ ჯვარისა და მისი შემოგარენის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, ეკოლოგიური, დემოგრაფიული და სხვა საშურ საქმეთა მართებული გადაწყვეტისათვის ხელშეწყობა;

V. სრულიად საქართველოს ნებისმიერი მოწოდება-მოთხოვნისათვის მზადყოფნა — გაერთიანებული ცოდნა-გამოცდილებითა და ძალისხმევით მოქმედება.

ცნობილია, საქართველოში წლის ყველა დღეს, რომელიმე სოფელში აღინიშნებოდა წმიდა გიორგობა.

ხოლო „ჯვარის სოფელში—მოგვითხრობს „მწყემსი" (№18, 1888 წ.). ერთ გაშლილ მინდორზე სდგას ერთი მშვენიერი ეკლესია, რომელიც აშენებულია წმიდა გიორგის სახელზე. ზეპირგადმოცემა მოგვითხრობს, რომ ამ მინდორზე აღუმართავს ჯვარი წმ. ანდრია მოციქულს, რაისა გამო ამ სოფელს დარქმევია სახელად ჯვარი და მინდორს, სადაც ჯვარი ყოფილა აღმართული, ჯვარზენი (ზენი მეგრულად მინდორს ჰქვია).

შემდეგში, წმიდა მოციქულთა სწორის ნინოს დროს, ამ ჯვარის ადგილზე აღუშენებიათ მშვენიერი ქვითკირის ეკლესია, რომელიც დღეს, დროთა ვითარების გამო დანგრეულია.

ამ ეკლესიაში ყოფილა დასვენებული წმიდა გიორგის ხატი, რომელიც დღეს ახალს ეკლესიაში ასვენია. ამ ხატს მცხოვრებლები უწოდებენ საკუთარ სახელს — ჯგეგე-ს...

დღეს ჯვარის საზოგადოებაში ადგილობითი ეკლესიის მედავითნემ მღვდლის დახმარებით გახსნა სამრევლო სკოლა, რომელშიც გახსნისთანავე ოცდაათ ყმაწვილზე მეტი შევიდა"...

სწორედ ამ ჯვარგუმბათიან ეკლესიაში აღინიშნებოდა წმიდა გიორგის ბორბალზე წამების დღე 10 ნოემბერი (ახალი სტილით 23 ნოემბერი).

ამავე დროს იმართებოდა დიდი დღესასწაული გიორგობა — იყო გალობა, სიმღერა, ცეკვა, ხალხური თამაშობანი, საქმიანი შეხვედრები, მთის, ბარისა და ზღვის საქონლის გაცვლა-გამოცვლა, ქორწილები...

ჩვენი საუკუნის ოციან წლებში ჯვარის მთავარი საკრებულო — ჯგეგეს ეკლესია სოფლის ცდომილმა შვილებმა დაანგრიეს, ხოლო გიორგობის დღესასწაული აკრძალეს...

რა თქმა უნდა, ჯვარის მეწინავე საზოგადოება არასდროს შეჰგუებია თავის წმიდა სალოცავის დანგრევას და ხალხური დღესასწაულის გაუქმებას.

და აი, ეს ნანატრი დროც მოვიდა — ახლა ჯვარის ყოველ მკვიდრს და არა მხოლოდ მათ, შეუძლიათ სიტყვით თუ საქმით გამოხატონ თავიანთი ერთგულება და თანადგომა ამ წამოწყებისადმი.

ჯვარის საქველმოქმედო საკრებულოს საინიციატივო ჯგუფი უხმობს ყველას, ვისაც ჯგეგე — წმიდა გიორგის ეკლესიის და გიორგობის დღესასწაულის აღდგენა-განახლების საქმეში თავისი შესაძლო წვლილის შეტანის სურვილი აქვს.

საქველმოქმედო საკრებულოს საინიციატივო ჯგუფი უხმობს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ენგურისა და მაგანისპირა ორიათასწლოვანი ჯვარის წარსული, აწმყო და მომავალი.

დიახ, ყველას შეუძლია მოგვაწოდოს აზრი, იდეა, სურვილი, წინადადება, და, რაც მთავარია, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა ახალი საკრებულოს დაფუძნებასა და მისი საქმიანობის უკეთ წარმართვაში.

ჩვენი მისამართია:

384740, ჯვარი, რუსთაველის ქ. № 1, გაზეთ „ჯვარის" რედაქცია (მურად ჰანტურია, ტელეფონი 3-15-16).

380096, თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. № 14, „ახალგაზრდა ივერიელის" რედაქცია (გვანჯი მანია, ტელეფონი 99-00-49).

მაშ ასე, ჯვარის საქველმოქმედო საკრებულოს დამფუძნებელი კრება გაიმართება პარასკევს, 23 ნოემბერს, ჯვარის (ჯვარზენი) ორცაცხვის ძირას, სადაც ადრე ჯგეგეს — წმიდა გიორგის ეკლესია და სკოლა იდგა.

კრების დაწყების დრო: 2 (14) საათი.

**საინიციატივო ჯგუფის სახელით**
**გვანჯი მანია.**

# „ახალგაზრდა ივერიელის" ყველა თაობის ჟურნალისტთა და მკითხველთა შეხვედრა

ჩვენს გაზეთს მალე 70 წელი უსრულდება. გასულ ათწლეულებში რედაქციის და სტამბის მუშაკების, ტექნიკური თუ შემოქმედებითი დარგის სპეციალისტთა და ფართო საზოგადოებრიობის თანამშრომლობით მრავალი კეთილი საქმე განხორციელდა, ცხადია, იყო ცოდო-ბრალიც, რომელსაც ვერავინ ვერასდროს გაექცევა.

ახალი საქართველო ყველასგან ახლებურ ფიქრსა და მოქმედებას მოითხოვს. ამიტომ ვისაც სურს მეტი იცოდეს „ახალგაზრდა ივერიელის" წარსულისა და აწმყოს, და რაც მთავარია, რედაქციის სამომავლო გეგმების შესახებ, ვიწვევთ არაჩვეულებრივ შეხვედრა-დიალოგზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ყველა თაობის ჟურნალისტები.

დიახ, ძვირფასო მკითხველო, თქვენ გეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა უშუალოდ შეხვდეთ და ესაუბროთ ჩვენი საუკუნის ოციანი, ოცდაათიანი და ა.შ. წლების ჟურნალისტებს, მოისმინოთ მათი გულახდილი საუბარი: აზრები, დაკვირვებანი, შთაბეჭდილებანი ერისა და ქვეყნის ცხოვრების შესახებ.

ამასთანავე, რედაქცია თქვენგან მოელის, ასევე გულწრფელ განწყობილებას, სახელდობრ, გვაინტერესებს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილმა რომელმა წერილმა მიიქცია თქვენი ყურადღება და რატომ? როგორ არის ასახული წარსული თუ თანამედროვეობა ჩვენს გაზეთში? რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ მასში? და ბოლოს, რედაქციას აინტერესებს თქვენი იდეა, მოსაზრება, წინადადება, გაზეთთან დაკავშირებით, რათა იგი უფრო მრავალფეროვანი, საინტერესო და ქმედითი გახდეს!

შეგახსენებთ „ახალგაზრდა ივერიელი" ერთადერთი ქართული ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთია, რომელიც კვირაში სამჯერ, რვა გვერდზე, ანუ წელიწადში საშუალოდ 150 ნომერი გამოდის. ამჟამად ჩვენი გაზეთის ერთჯერადი ტირაჟია 430 ათასი ეგზემპლარი, ხოლო წლიური 65 მილიონი!

არაჩვეულებრივი შეხვედრა-დიალოგი გაიმართება სამშაბათს, 27 ნოემბერს, რედაქციის შენობაში: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №14, სართული V — გამომცემლობის კლუბი. დასაწყისი 15.00.

**„ახალგაზრდა ივერიელის" რედაქცია.**
**საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი.**

**აბა,** წარმოიდგინეთ, რომ უცებ ლატარიით მანქანა მოიგეთ და მისი მართვა არ შეგიძლიათ, — რამდენი უსიამოვნება შეიძლება შეგემთხვეთ ამ დროს. ამიტომ, თუ გსურთ „მანქანიანი კაცის" ბედნიერება მაშინვე იგრძნოთ: მიმართეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ კოოპერატივ ავტოსკოლა „მესაჭეს". სულ

# გიხმობთ „მესაჭე"

რაღაც თვენახევარში ისე გამომოგიმუშავებენ და დაგინერგავენ პროფესიონალური მძღოლის ჩვევებს, რომ შეძლებთ თვით თბილისშიც კი მთელი ცხოვრება უავარიოდ ატაროთ მანქანა.

თეორიული მეცადინეობები ტარდება ყოველდღე, გარდა კვირისა, პრაქტიკული — მსმენელის მოთხოვნის მიხედვით. ამასთან, მასწავლებელი მეცადინეობის დაწყებამდე თვითონ მოგაკითხავთ შინ ან სამსახურში.

კოოპერატივის მისამართია: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2, ბიოლოგების კორპუსი, პირველი სართული.

**აცხადებს,** რომ 25 დეკემბერს დედაქალაქში იხსნება ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის კლუბი „თეთრი გიორგი".

# კულტურის ცენტრი „თბილისი"

კლუბის წევრები ეზიარებიან ქართულ და მსოფლიო კულტურის საგანძურს, შეისწავლიან რელიგიის საფუძვლებს, გაეცნობიან ლიტერატურის, სახვითი ხელოვნების, მუსიკის, თეატრის და კინოს შედევრებს, შეითვისებენ საზოგადოებრივი ქცევის ზნეობრივ ნორმებს.

კლუბის საქმიანობა მოწოდებულია ხელი შეუწყოს ბავშვების ჰარმონიულ განვითარებას, მათ ჩამოყალიბებას განათლებულ, დახვეწილ პიროვნებებად.

კლუბ „თეთრი გიორგის" წევრად ჩაირიცხებიან 10-11 წლის ბავშვები გასაუბრების შედეგად. პროგრამა ორწლიანია. ექსპერიმენტის სახით დაკომპლექტდება მხოლოდ 2-3 ჯგუფი. ღირებულების გადახდა შეიძლება როგორც მთელი წლით, ასევე ყოველთვიურად.

ძვირფასო მშობლებო ცნობებისათვის მიმართეთ **მ. კოსტავას ქ. № 37 (ვერის ბაღი) ტელ. 99-06-49, 99-58-26. მიღების დღეები: სამშაბათი და ხუთშაბათი 10-დან 2 საათამდე.**

**კულტურის ცენტრი „თბილისის" გენერალური დირექტორი ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძე.**

# ყურადღება, ყურადღება!

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული იუნესკოს რესპუბლიკური საბჭოს განათლების ფონდი ავსტრიასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე თქვენ გაძლევთ საშუალებას გაიაროთ სწავლება ავსტრიის მენეჯერთა სკოლაში. აუცილებელია გერმანული ენის ცოდნა. დამატებით ცნობებს მოგვიანებით მოგაწვდით.

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 103. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, იუნესკოს რესპუბლიკური საბჭოს განათლების ფონდი. ტელ. 95-49-81.

**შედარებით** ძუნწი, მაგრამ უდაოდ საყურადღებო ცნობები შემოგვინახა მემატიანემ თურმანიძეთა უებარი სდგვარეულო მალამოს შესახებ. 1876 წლის 20 აგვისტოს გაზეთ „დროებაში" აღნიშნული იყო, რომ „სერბიაში დაჭრილების სამკურნალოდ თურმანიძეების გაგზავნაა განზრახული". ცნობილია ისიც, რომ ქართველ მეფეებსა და მათ ლაშქარს ყოველთვისთან ახლდა თურმანიძეთა გვარის სახელოვანი მკურნალები. ქუთაისიდან საგანგებოდ მოწვეულმა თურმანიძემ თავისი მალამოს წყალობით განკურნა რომანტიკოსი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც 1812 წელს კახეთის აჯანყების დროს დაიჭრა.

ცნობილია, ისიც, რომ თურმანიძეები მალამოს დამზადების საიდუმლოს, გასაგები მიზეზების გამო, მხოლოდ ვაჟებს გადასცემდნენ. სწორედ ამიტომ არის უცნობი სხვებისთვის თურმანიძეთა მალამოს დამზადების წესი, არავინ უწყის მალამოს ფუძის, მოქმედი ნივთიერებების შემადგენლობა.

თურმანიძეთა მალამოს, მიუხედავად იმისა, რომ დღეს მედიცინამ განვითარების გარკვეულ საფეხურს მიაღწია, დღემდე არ დაუკარგავს თავისი უებარი სამკურნალწამლო თვისებები. ინტერესი მის მიმართ კვლავაც დიდია, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოში ბევრი როდია მკურნალი თურმანიძე. მათი

# უებარი



# საშუალება

ძირითადი ნაწილი უმეტესად თბილისში მოღვაწეობს. მათ შორისაა ცნობილი ექიმის, აწ გარდაცვლილ ვახტანგ თურმანიძის ქალიშვილი რუსუდან თურმანიძე, რომელიც ამჟამად მუშაობს თბილისში, ქიაჩელის ქუჩაზე მდებარე ივანე გომართელის სახელობის საკონსულტაციო-სამკურნალო და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრში.

როგორც ქალბატონმა რუსუდანმა განაცხადა, იგი ბავშვობიდანვე ყოფილა მამის საქმიანობით დაინტერესებული. შემდეგ თვითონაც დაიწყო მუშაობა დამოუკიდებლად და უკვე ათი წელია კარგ შედეგებსაც აღწევს. პრაქტიკაში რუსუდანს აქვს ძალიან კარგი შედეგები დამწვრობის მძიმე შემთხვევების დროს.

რუსუდან თურმანიძის მიერ დამზადებული მალამოები უებარი საშუალებაა ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა — დამწვრობა, დაქექილობა, დაჩირქებული ნაწიბური, პანარიციუმი, ძირმაგარა, მასტიტი, კერტების დახეთქვა, ნაღრძობი, შეუხორცებელი ძველი ჭრილობები, სველი ეგზემა, ქავილი, სახსრების ანთება, ოპერაციის შემდგომი ჭრილობები და სხვა.

ჩანაწერებში ქალბატონ რუსუდანის მიერ განკურნებული პაციენტები ემადლიერებიან მას გამოჩენილი გულისხმიერებისათვის, ქმედითი დახმარებისათვის.

დასასრულ დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ ვიტყვი იმასაც, რომ ქალბატონი რუსუდანი პაციენტებს იღებს ყოველ სამშაბათს და ხუთშაბათს საღამოს საათებში, ხოლო შაბათობით დღის 12 საათიდან.

**საკუთარი ინფორმაცია**
**ოლეგ გველესიანის ფოტო.**


# რეკლამა

თუ გინდათ იცოდეთ, რა მდგომარეობაშია დღევანდელი ჯანმრთელობის დაცვის სისტემა და როგორია მისი გარდაქმნის გზები!

თუ გინდათ იცოდეთ, რა მდგომარეობაშია საქართველოს საშუალო და უმაღლესი სამედიცინო განათლება და როგორ შეიძლება მისი პროგრესული ფორმებით შეცვლა!

თუ გინდათ გაეცნოთ:

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის და სამედიცინო განათლების სისტემის სტრუქტურებს;

თანამედროვე სამედიცინო პრეპარატებს;

თანამედროვე სამედიცინო მეცნიერების და ტექნიკის მიღწევებს;

თუ გინდათ მიიღოთ გამოჩენილ ქართველ და უცხოელ სპეციალისტთა რჩევები, რომლებიც გამოგადგებათ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

თუ სურვილი გაქვთ რეკლამა გაუწიოთ თქვენ საქმიანობას.

გამოიწერეთ **„საქართველოს ექიმთა ასოციაციის მოამბე"**, მისი ფურცლები ღიაა საქართველოს ყველა ექიმისათვის, იგი საუკეთესო საშუალებაა კოლეგებს შორის ინფორმაციის გაცვლისათვის, გაზეთის მეშვეობით თქვენს მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხებენ უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტები.

დროს ნუ დაკარგავთ, გამოიწერეთ „ექიმთა ასოციაციის მოამბე".

გაზეთი გამოდის თვეში ორჯერ, ხელმოწერის ფასი ერთი წლით 19 მანეთი და 20 კაპიკი.

**„საქართველოს ექიმთა ასოციაციის მოამბის"** ინდექსია — 66425.

# რეკლამა

**XX საუკუნემ** სიკეთესთან ერთად თავსატეხიც მრავლად მოგვიტანა. ერთ-ერთია ამ მძიმე ეკოლოგიური პირობებში ჯანმრთელობის შენარჩუნება. უპირველესი მოთხოვნილების საგანი გახდა წამალი, რომელიც ერთის მხრივ თითქოს და შველის დაავადებას, მაგრამ... გარკვეულ დოზას აყენებს ადამიანის ორგანიზმს. ამიტომ დიდ ინტერესს იწვევს უწამლოდ სხვადასხვა მეთოდებით მკურნალობა.

თბილისში დაარსდა არატრადიციული და ალტერნატიული მეთოდებით მკურნალობის ცენტრი „ქი-ნა", სადაც პროფესორ ჯუნა დავითაშვილის [illegible] მეთოდურ ცენტრში დიპლომირებული უძლიერესი ბიოველის მქონე ექსტრასენსები მკურნალობენ სხვადასხვა დაავადებებს: [illegible] თავის ტკივილებს, [illegible] შარდვას, [illegible] რიტზს, სახსრების [illegible] დებებს, ბრონქულ ასთმას, [illegible], სქესობრივ სისუსტეს, [illegible] წყლულს, ქოლეცისტიტს, [illegible] სულ დაძაბულობას, სიმსუქნეს, მარილების დაგროვებას, ბუასილს, დიაბეტს.

მიღება მხოლოდ წინასწარი ჩაწერით.

10-დან 20 საათამდე ყოველდღე გარდა კვირისა.

**მისამართი: წერეთლის პროსპექტი № 95 ა. საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს მძლეოსნობის სახსახლე.**

# აღორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინება" და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო".

ეროვნული ბიბლიოთეკა




## სამეცნიერო-ტექნიკური ფირმა „გავაზი"

**სთავაზობს IBM-ის ტიპის პერსონალური კომპიუტერების მფლობელებს:**

1.კომპიუტერების რემონტსა და შემდგომ მომსახურებას;
2.სხვადასხვა ტიპის ინტერფეისულ მოწყობილობას („პრინტერი", „ფლოპი", „ვინჩესტერი", „სკანერი") და მათ სათადარიგო ნაწილებს;
3.რთული ელექტრონული სისტემების ავტომატიზაციას IBM-ის ტიპის კომპიუტერების ბაზაზე.

**ფირმა აგრეთვე სთავაზობს დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს:**

1.ნებისმიერი კონფიგურაციის IBM-თან თავსებადი იმპორტული წარმოების პერსონალურ კომპიუტერებს;
2.სხვადასხვა ტიპის ლოკალური კომპიუტერული ქსელების აპარატურას პროგრამული უზრუნველყოფით;
3.ფაქსიმილური კავშირის აპარატურას;
4.ასლის გადამღებ მოწყობილობებს.

ფირმა უზრუნველყოფს ზემოთ ჩამოთვლილი აპარატურის საგარანტიო მომსახურებას და გარანტიისშემდგომ რემონტს.

ფირმას შეუძლია შექმნას დროებითი შრომითი კოლექტივი სხვადასხვა დარგის და პროფილის სამუშაოების შესასრულებლად. ანაზღაურება დროებით შრომით კოლექტივში სახელშეკრულებო თანხის 50% და მეტს შეადგენს.

ჩვენი მისამართია: 380002, ქ.თბილისი, ხეთაგუროვის ქ.№26.
მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების სასახლე,
III სართული, ოთახი 23. ტელეფონი 96-00-90

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი"

## იყიდება

კომპიუტერი, რომელიც ამზადებს პორტრეტებს კომპიუტერული გრაფიკით. კომპიუტერის წარმადობაა — პორტრეტი — 2 წთ.

ჩვენი მისამართია! თბილისი, ბუდაპეშტის ქ.№1, კოოპერატივი „სავანე". ტელ: 37-58-25 (11.00 სთ-დან 16.00 სთ-მდე).

**სარეკლამო სააგენტო**
**„არგო-ბლიკი"**



ა რ გ ო
ს ა ვ ა ნ ე
გ ა ვ ა ზ ი
ჰიპოკრატე
დასტაქარი
ზ ე ვ ს ი

## რეკლამის მსურველებს

### საწარმოებს, ფირმებს, კოოპერატივებს, კერძო პირებს

თუ გსურთ საკუთარი საქმიანობის ან პროდუქციის რეკლამირება გაზეთით ან ტელევიზიით, გახსოვდეთ, რომ გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი" და სატელევიზიო გადაცემების „ილუზიონი"—სა და „ვიდეო-ვიდეო"—ს ეთერული დრო საუკეთესო პირობებს შეგიქმნით ამისათვის.

რეკლამების შესაკვეთად მიმართეთ მისამართზე: ბუდაპეშტის ქ.№1

ტ: 37-58-25
37-06-64



ფირმა „არგო"-ს
სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი"

## კოოპერატივი „სავანე"

კერძო ავტომანქანების მფლობელებს სთავაზობს მოსახლეობის მომსახურებას. გადასახადი თვეში 30 მანეთია.

ჩვენი მისამართია: თბილისი, გლდანის მასივი, V მიკრორაიონი, აგროსამრეწველო ბანკის მიმდებარე ტერიტორია, წითელი ჯიხური წარწერით „სავანე" (9.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე).

**სარეკლამო სააგენტო**
**„არგო-ბლიკი"**

### ახალგაზრდა მანდილოსანთა ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და ოჯახის რეგულირებისათვის

[მე]დიცინო სარეაბილიტაციო კოოპერატივი „დასტაქარი" გთავაზობთ ფეხმძიმობის დადგენას ადრეულ სტადიაში (პირველი 24 საათის განმავლობაში). დიაგნოსტიკა სწარმოებს თანამედროვე მაღალმგრძნობიარე იმუნოფერმენტული ანალიზით, საერთაშორისო კლასის პრეპარატების გამოყენებით.

გამოსაკვლევ პირს შარდის ჩაბარებიდან 1-2 საათის შემდეგ გარანტირებული ექნება უტყუარი პასუხი. პარალელურად შესაძლებელია ტროფობლასტური სიმსივნის დიაგნოსტიკაც დაავადების საწყის ეტაპზე.

დაინტერესებულ პირებს და ორგანიზაციებს შეუძლიათ მოგვმართონ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 29, რესპუბლიკური საავადმყოფოს ბალნეოლოგიური განყოფილება, კოოპერატივი „დასტაქარი".

სამუშაო საათები: ყოველდღე 10-დან 19 საათამდე, შაბათს 12 საათამდე. გამოსასვლელი დღე კვირა. ტ: 39-57-63.

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი"

### რესპუბლიკურ საწარმოო ასოციაცია „კომპლექსთან" შექმნილია სამკურნალო-გინეკოლოგიური ფირმა

## „ჰიპოკრატე"

ფირმა „ჰიპოკრატე" აწარმოებს ქალთა გინეკოლოგიურ დაავადებათა (საშვილოსნოს ყელის ეროზიები, პოლიპები, ლეიკო და ერითროპლაკიები, საკვერცხის ათოლოგია) პროფილაქტიკას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას.

მანიპულაციები ჩატარდება ერთჯერადი შპრიცებითა და ნემსებით.

ფირმის მისამართია: პეტრიაშვილის ქ. №44.
მიღება 16.00 სთ-დან 19.00 სთ-მდე შაბათისა და კვირის გარდა.

ტ: 23-05-10

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი"

VISA

VISA

### ვიზების სათარგმნად

გთხოვთ, მიმართოთ კოოპერაციულ ფირმა „ზევსს", რომელიც მიგიღებთ ყოველდღე დასვენების დღეების ჩათვლით 11-დან 21 საათამდე. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში. გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით: 22-58-40 და გვეწვიოთ მისამართზე: თბილისი, პეტრიაშვილის ჩიხი №3.

სარეკლამო სააგენტო
„არგო—ბლიკი"

ახალგაზრდა ივერიელი
Общественно-политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
ზურაბ ბალარჯიშვილი

[illegible] 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით [illegible] № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი — 380096. მ. კოსტავას ქ. № 14.